



შპს სისტემ ნეტ

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	12
3. ძირითადი საშუალებები	20
4. საინვესტიციო ქონება.....	20
5. წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში.....	21
6. გაცემული სესხები	22
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები	22
8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	22
9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	23
11. მიღებული სესხები	23
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23
13. შემოსავალი რეალიზაციიდან	23
14. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	24
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
16. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	24
17. სხვა მოგება (ნეტო).....	24
18. ფინანსური ინსტრუმენტები.....	24
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	25
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	28
მმართველობითი ანგარიში.....	30
1. კომპანია და მისი დამუშნებლები	30
2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა.....	30
3. ფინანსური რისკები.....	30
4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	32
5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....	32
6. კომპანიის თანამშრომლები	32
7. გარემოზე ზეგავლენა	32
8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები.....	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ვის: შპს “სისტემ ნეტ”-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “სისტემ ნეტ”-ის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი (ქვემოთ, თანხები მოცემულია ათას ლარებში, თუ სხვა გვარად არ იქნა მინიშნებული)

ვალდებულებები. კომპანიას ერიცხება დივიდენდის და მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება) 114 და 73 ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 2019 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისად. ჩვენ ვერ ჩავატარეთ პირდაპირი დადასტურების აუდიტის პროცედურები ამ თანხებთან დაკავშირებით. ამასთანავე, კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტები ამ დავალიანებები წარმოშობის შესახებ. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ამ თანხებთან და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთებთან დაკავშირებით.

წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში. კომპანიას ერიცხება წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში ისტორიული ღირებულებით 365 ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 2019 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისად. ჩვენ დავადასტურეთ ამ ინვესტიციების არსებობა, თუმცა კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტები ამ ინვესტიციების ისტორიული ღირებულების დადასტურების მიზნით. ჩვენ ვერ ჩავატარეთ აუდიტის პროცედურები ამ თანხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ამ თანხებთან, მათთან დაკავშირებულ ასახულ გაუფასურებასთან დაკავშირებით და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვესურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.17 -ე შენიშვნის - საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს, რომ:

„კომპანიის, მომავალი, შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე:

- კომპანიას ერიცხება სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავის ერთობლივად კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ 13,397, 13,554 და 11,082 ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისად. კომპანია პირდაპირ ფლობს ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტს, გარდა ამისა, ორივე კომპანია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს.
- კომპანიის 2020 და 2019 წლებში მომსახურებას ეწევა ზარალიანად, კომპანიის წმინდა ზარალი (სხვა სრული შემოსავლების) გათვალისწინების გარეშე, შეადგენს 1,021 და 3,600 ლარს 2020 და 2019 წლისათვის შესაბამისად.
- კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის და მისი შვილობილი კომპანიის მიერ აღებული სესხების. კომპანია ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, კომპანია და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 7 მილიონი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საბანკო სესხები	3,350	3,891	968
სულ ნასესხები საშუალებები	3,350	3,891	968

კომპანიის მენეჯმენტი თვლის და გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების განეიტრალების მიზნით:

- ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსთან, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკის იმდაგვარად შეგუერებას, რომ არ მოხდეს შეფერხება კომპანიის მომავალი, ჩვეულებრივი ოპერირების;
- კომპანია აგენერირებს შემოსავლის 87 პროცენტს მის დაკავშირებულ კომპანიებთან და 5 პროცენტს იმ კომპანიასთან, რომელთანაც საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფება. კომპანიის საფასო პოლიტიკა და ფულადი ნაკადები შემოსავლებიდან იგეგმება იმდაგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას კომპანიის უწყვეტი ოპერირება და ამავე დროს მიღწეული იყოს საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების მიზნები.
- კომპანიიდან წარსულში არ მომხდარა და არც მომავალში მოელის გარანტიის ფარგლებში რაიმე სახის ფულადი ან სხვა ეკონომიური სარგებლის გადინებას, კომპანია თვლის რომ საერთო კონტროლის ქვეშ მოფი კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები თავად მოემსახურება შესაბამის სესხებს.

ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც

აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო, ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება

გამოვთქვით კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკონსოლიდაცირებულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერი, თბილისი, საქართველო

გამოვთქვით კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.


ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერი, თბილისი, საქართველო



შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 (ჩასწორებული)	01.01.2019 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	24,329	17,743	17,551
საინვესტიციო ქონება	4	2,984	2,617	2,604
წილობრივი ინვესტიციები	5	313	313	313
გაცემული გრძელვადიანი სესხები	6	-	560	679
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	2,060	1,866	1,775
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,686	23,099	22,922
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	16	19	10
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	354	1,525	889
გაცემული მოკლევადიანი სესხები	6	-	198	1,968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	79	3	368
სულ მოკლევადიანი აქტივები		449	1,745	3,235
სულ აქტივები		30,135	24,844	26,157
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		283	283	283
გაუნაწილებელი მოგება		4,770	5,791	9,391
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		11,099	4,822	4,822
სულ საკუთარი კაპიტალი		16,152	10,896	14,496
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	86	66	56
გადასახდელი დივიდენდები		114	114	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	13,647	13,747	11,398
საგადასახადო ვალდებულებები		136	21	93
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,983	13,948	11,661
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		30,135	24,844	26,157

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის (ზასწორებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	4,336	4,921
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14	(4,999)	(5,819)
საერთო ზარალი		(663)	(898)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(834)	(3,650)
ფინანსური ხარჯი ნეტო	16	164	269
სხვა მოგება (ნეტო)	17	312	679
მიმდინარე წლის ზარალი		(1,021)	(3,600)
სხვა სრული შემოსავლები			
(მუხლები, რომლებიც შემდგომში არ შეიძლება, რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში)			
ძირითადი საშუალებების აფასება		6,277	-
სულ სხვა სრული შემოსავლები		6,277	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		5,256	(3,600)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7,242	2,578
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(6,372)	(4,434)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	870	(1,856)
მიღებული პროცენტი	-	182
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	870	(1,674)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწესება	(796)	(588)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	1,855
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(796)	1,267
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	74	(407)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3	368
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2	42
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	79	3

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	283	9,391	4,822	14,496
2019 წლის სრული ზარალი	-	(3,600)	-	(3,600)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	283	5,791	4,822	10,896
2020 წლის სრული შემოსავალი	-	(1,021)	6,277	5,256
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	283	4,770	11,099	16,152

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 (ჩასწორებული)	01.01.2019 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	24,329	17,743	17,551
საინვესტიციო ქონება	4	2,984	2,617	2,604
წილობრივი ინვესტიციები	5	313	313	313
გაცემული გრძელვადიანი სესხები	6	-	560	679
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	2,060	1,866	1,775
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,686	23,099	22,922
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	16	19	10
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	354	1,525	889
გაცემული მოკლევადიანი სესხები	6	-	198	1,968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	79	3	368
სულ მოკლევადიანი აქტივები		449	1,745	3,235
სულ აქტივები		30,135	24,844	26,157
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		283	283	283
გაუნაწილებელი მოგება		4,770	5,791	9,391
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		11,099	4,822	4,822
სულ საკუთარი კაპიტალი		16,152	10,896	14,496
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	86	66	56
გადასახდელი დივიდენდები		114	114	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	13,647	13,747	11,398
საგადასახადო ვალდებულებები		136	21	93
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,983	13,948	11,661
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		30,135	24,844	26,157

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთავრალტერი



შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	4,336	4,921
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14	(4,999)	(5,819)
საერთო ზარალი		(663)	(898)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(834)	(3,650)
ფინანსური ხარჯი ნეტო	16	164	269
სხვა მოგება (ნეტო)	17	312	679
მიმდინარე წლის ზარალი		(1,021)	(3,600)
სხვა სრული შემოსავლები			
(მუხლები, რომლებიც შემდგომში არ შეიძლება, რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში)			
ძირითადი საშუალებების აფასება		6,277	-
სულ სხვა სრული შემოსავლები		6,277	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		5,256	(3,600)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ზნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი



შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2020 დასრულებული წლისათვის	31.12.2019 დასრულებული წლისათვის (რასწორებული)
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7,242	2,578
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(6,372)	(4,434)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	870	(1,856)
მიღებული პროცენტი	-	182
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	870	(1,674)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწესება	(796)	(588)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	1,855
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(796)	1,267
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	74	(407)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3	368
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2	42
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	79	3

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არდანაშვილი, მთ.ბუღალტერი



(Handwritten signature)

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	283	9,391	4,822	14,496
2019 წლის სრული ზარალი	-	(3,600)	-	(3,600)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	283	5,791	4,822	10,896
2020 წლის სრული შემოსავალი	-	(1,021)	6,277	5,256
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	283	4,770	11,099	16,152

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 31 დეკემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ თამარ არღანაშვილი, მთ.ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სისტემ ნეტ“ ს/კ 205267423 წარმოადგენს ინტერნეტის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოში. კომპანია მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2008 წლის 11 ნოემბერს, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ (სს კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისიდან“ გამოყოფის შედეგად).

საქართველოს და კავკასიის რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კომპანია შპს „სისტემ ნეტ“ მოღვაწეობს 2008 წლიდან. შპს „სისტემ ნეტ“ მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან შპს „ფოტონეტთან“ და „ახალი ქსელები“ ერთად, შედის ტელეკომუნიკაციების და ტექნოლოგიების ჯგუფში. კომპანია ახორციელებს აბონენტთა მომსახურებას ინტერნეტის გამოყოფილი არხების საშუალებით, გააჩნია საკუთარი დატაცენტრი. დატაცენტრი გამოიყენება როგორც საკუთრივ შპს „სისტემ ნეტ“-ის აპარატურის განსათავსებლად, ასევე კოლოკაციის სერვისებისთვის. კომპანია ახორციელებს ვებჰოსტინგის სერვისს. შპს „სისტემ ნეტ“-ის მომხმარებლები ძირითადად არიან მსხვილი კომპანიები და ინტერნეტპროვაიდერები. ასევე კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს საერთაშორისო ხმოვანი სატელეფონო ტრაფიკის გატარებას საქართველოსა და უცხოურ ქვეყნებს შორის. ამ მიზნებისათვის კომპანია იყენებს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლის ცისკოს საკომუტაციო მოწყობილობებს. საზღვარეთის პარტნიორ კომპანიებთან დასაკავშირებლად იყენებს როგორც პირდაპირ ასევე ინტერნეტის არხებს, ხოლო საქართველოს ფარგლებში იყენებს პირდაპირი ურთიერთობის არხებს საქართველოს ყველა მსხვილ პროვაიდერთან. შპს „სისტემ ნეტის“ საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა თავის კუთვნილ შენობაში საოფისე ფართების და სათავსოების იჯარით გაცემა. შპს „სისტემ ნეტ“-ი დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ., №42

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის კომპანიის დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალის მფლობელები არიან:

	პროცენტული წილი 31.12.2020 წლისთვის	პროცენტული წილი 31.12.2019 წლისთვის	პროცენტული წილი 01.01.2019 წლისთვის
ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622)	29.349	29.349	29.349
გიორგი იაშვილი (პ/ნ 563578047)	2.028	-	-
ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232)	24.709	21.565	21.565
ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616)	15.318	15.318	15.318
ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190)	7.781	7.781	7.781
ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738)	5.714	5.714	5.714
თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596)	4.183	4.183	4.183
ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	4.149	4.149	4.149
კონსტანტინე ხაჯალია (პ/ნ 01009002835)	-	3.128	3.128
ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643)	2.091	2.091	2.091
თეიმურაზ ცხვარიშვილი (პ/ნ 01026003544)	-	2.028	2.028
კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792)	1.699	1.699	1.699
ჯამბული გეგუკორი (პ/ნ 01017000485)	1.171	1.171	1.171
ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917)	1.038	1.038	1.038
სხვა დამფუძნებლები	0.770	0.786	0.786

კომპანიის მაკონტროლებელი პირები არიან: ილია ინჯია, ფრიდონ ინჯია, ხათუნა ინჯია, ლალი რუხაია და ნაირა კვესელავა.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კომპანია ფლობს ერთობლივად კონტროლირებად და მეკავშირე კომპანიებს დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 5. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინვესტორის ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს -ის მე-9 თავის მიხედვით. ისე როგორც მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 2.7, ერთობლივად კონტროლირებად, მეკავშირე კომპანიების და ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტების სახით წილობრივი

ინვესტიციები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მსს ფასს-ის 11, მე-14 და მე-15 თავების შესაბამისად თვითღირებულების მოდელით (თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით), ინვესტირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება კომპანიის მოგება ზარალში როდესაც დადგინდება დივიდენდების მიღების უფლება. ეს მეთოდი არ განსხვავდება მსს ფასს-ის 9 თავით განსაზღვრული თვითღირებულების (თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით) მეთოდისაგან რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაში ამ წილობრივი ინვესტიციები ასახვის მიზნით, ამრიგად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ განსხვავდება და გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშებისაგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას, ჯგუფმა მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2019 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. ჩასწორების ფინანსური დეტალები და მიზეზი მოცემულია ქვემოთ:

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	01.01.2019 ჩასწორებული	რეკლასიფი კაცია	შეცდომის გასწორება	01.01.2019 ჩასწორებამდე
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	17,551	-	(1)	17,552
საინვესტიციო ქონება(იხილეთ შენიშვნა 1)	2,604	-	2,604	-
წილობრივი ინვესტიციები	313	-	-	313
გაცემული გრძელვადიანი სესხები	679	-	-	679
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,775	500	-	1,275
სულ გრძელვადიანი აქტივები	22,922	500	2,603	19,819
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	-	-	10
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (იხილეთ შენიშვნა 2)	889	-	(10,714)	11,603
მისაღები დივიდენდები	-	(500)	-	500
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1,968	-	1	1,967
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	368	-	-	368
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,235	(500)	(10,713)	14,448
სულ აქტივები	26,157			34,267
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	283	-	-	283
გაუნაწილებელი მოგება(იხილეთ შენიშვნა 1, 2)	9,391	-	(8,110)	17,501
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4,822	-	-	4,822
სულ საკუთარი კაპიტალი	14,496	-	(8,110)	22,606
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	56	-	-	56
გადასახდელი დივიდენდები	114	-	-	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11,398	-	-	11,398
საგადასახადო ვალდებულებები	93	-	-	93
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	11,661	-	-	11,661
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	26,157			34,267

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2019 ჩასწორებული	რეკლასიფი კაცია	შეცდომის გასწორება	31.12.2019 ჩასწორებამდე
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	17,743	-	9	17,734
საინვესტიციო ქონება(იხილეთ შენიშვნა 1)	2,617	-	2,617	-
წილობრივი ინვესტიციები	313	-	-	313
გაცემული გრძელვადიანი სესხები	560	-	-	560
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,866	500	-	1,366
სულ გრძელვადიანი აქტივები	23,099	500	2,626	19,973
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	19	-	-	19
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება(იხილეთ შენიშვნა 2)	1,525	-	(13,508)	15,033
მისაღები დივიდენდები	-	(500)	-	500
გაცემული მოკლევადიანი სესხები	198	-	-	198
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	-	-	3
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,745	(500)	(13,508)	15,753
სულ აქტივები	24,844			35,726
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	283	-	-	283
გაუნაწილებელი მოგება(იხილეთ შენიშვნა 1, 2 და 3)	5,791	-	(10,810)	16,601
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4,822	-	-	4,822
სულ საკუთარი კაპიტალი	10,896	-	(10,810)	21,706
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	66	-	-	66
გადასახდელი დივიდენდები	114	-	-	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება(იხილეთ შენიშვნა 3)	13,747	-	(72)	13,819
საგადასახადო ვალდებულებები	21	-	-	21
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13,948	-	(72)	14,020
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	24,844			35,726

	31.12.2019 დასრულებული წლისათვის ჩასწორებული	რეკლასიფიკაცია და შეცდომის გასწორება	31.12.2019 დასრულებული წლისათვის ჩასწორებამდე
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,921	(3)	4,924
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(5,819)	28	(5,791)
საერთო ზარალი	(898)	25	(867)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები(იხილეთ შენიშვნა 2 და 3)	(3,650)	2,690	(960)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	269	-	269
სხვა მოგება (ნეტო)	679	21	658
მიმდინარე წლის ზარალი	(3,600)	2,711	(900)

შენიშვნა 1 - კომპანიამ აღმოაჩინა მიწა - საინვესტიციო ქონება, აქტივი, რომელიც არ ირიცხებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 2 - კომპანიამ შეცვალა ცალკეული დებიტორების გაუფასურების ანარიცხი.

შენიშვნა 3 - კომპანიამ ანულირება გაუკეთა საპრივატიზაციო ანარიცხს და რამოდენიმე კრედიტორზე მოხდა ნაშთის კორექტირება დასტურის წერილის მიხედვით.

2.3 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ("ქართული ლარი").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 1 იანვარს	2.6727	3.0597
2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

2.5 ძირითადი საშუალებები

გარდა მიწა და შენობა ნაგებობების ჯგუფისა, ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მიწა და შენობა ნაგებობს ჯგუფი ასახულია გადაფასების მეთოდით. უკანასკნელი გადაფასება ჩატარებულია 2017 წლის 31 დეკემბრს. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ ბაზარზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ყოველი შეფასების თარიღისათვის. გადაფასების

ნამეტი აისახება გადაფასების რეზერვში. მიწა და შენობა ნაგებობს სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შესადარისი გაყიდვების მეთოდის საფუძველზე. შესადარისი მიწის და შენობა ნაგებობა გასაყიდი ფასები შესაბამისად ჩასწორებულია შეფასებულ მიწის ძირითად მახასიათებლებთან განსხვავებების გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი შეფასების მიდგომაში არის ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა-ნაგებობები	20-30
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და მანქანა-დანადგარები	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	5

2.6 საინვესტიციო ქონება

ის აქტივები, რომლებიც კომპანიას დროებით გამოუყენებელ მდგომარეობაში აქვს და/ან მათი მომავალი გამოყენების გეგმები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, აღიარებულია როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

2.7 წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში

ერთობლივად კონტროლირებად, მეკავშირე კომპანიების და ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტების (მსს ფასს მე-11 თავის მიხედვით) სახით წილობრივი ინვესტიციები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მსს ფასს მე-9, 11, მე-14 და მე-15 თავების შესაბამისად თვითღირებულების მოდელით (თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით), ინვესტირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება კომპანიის მოგება ზარალში როდესაც დადგინდება დივიდენდების მიღების უფლება. ინვესტიციების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 5.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.11 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.12 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.13 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.14 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, კომპანიამ ანულოვება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტებს და ვალდებულებას.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.17 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიის მომავალი შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე:

- კომპანიას ერიცხება სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავის ერთობლივად კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ 13,397, 13,554 და 11,082 ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისად. კომპანია პირდაპირ ფლობს ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტს, გარდა ამისა, ორივე კომპანია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს.
- კომპანიის 2020 და 2019 წლებში მომსახურებას ეწევა ზარალიანად, კომპანიის წმინდა ზარალი (სხვა სრული შემოსავლების) გათვალისწინების გარეშე, შეადგენს 1,021 და 3,600 ლარს 2020 და 2019 წლისათვის შესაბამისად.
- კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის და მისი შვილობილი კომპანიის მიერ აღებული სესხების. კომპანია ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, კომპანია და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 7 მილიონი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საბანკო სესხები	3,350	3,891	968
სულ ნასესხები საშუალებები	3,350	3,891	968

კომპანიის მენეჯმენტი თვლის და გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების განეიტრალების მიზნით:

- ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსთან, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკის იმდაგვარად შეჯერებას, რომ არ მოხდება შეფერხება კომპანიის მომავალი, ჩვეულებრივი ოპერირების;

- კომპანია აგენერირებს შემოსავლის 87 პროცენტს მის დაკავშირებულ კომპანიებთან და 5 პროცენტს იმ კომპანიასთან, რომელთანაც საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფება. კომპანიის საფასო პოლიტიკა და ფულადი ნაკადები შემოსავლებიდან იგეგმება იმდაგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას კომპანიის უწყვეტი ოპერირება და ამავე დროს მიღწეული იყოს საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების მიზნები.
- კომპანიიდან წარსულში არ მომხდარა და არც მომავალში მოელის გარანტიის ფარგლებში რაიმე სახის ფულადი ან სხვა ეკონომიური სარგებლის გადინებას, კომპანია თვლის რომ საერთო კონტროლის ქვეშ მოფი კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები თავად მოემსახურება შესაბამის სესხებს.

ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 9).

დაკავშირებული პირების სესხების ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის და მისი შვილობილი კომპანიის მიერ აღებული სესხების. კომპანია ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, კომპანია და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 7 მილიონი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საბანკო სესხები	3,350	3,891	968
სულ ნასესხები საშუალებები	3,350	3,891	968

კომპანია არ მოელის ამ თავდებობის ფარგლებში მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასაღებას, რის გამოც არ არის რამე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მიწა და შენობა- ნაგებობა	სატელეკომ უნიკაციო ინფრასტრუ- ქტურა და მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს- პორტო საშუალებე ბი	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
01.01.2019	5,037	10,818	3,181	451	630	321	20,438
შეძენა	-	355	3	12	32	573	975
გასვლა	-	(293)	-	-	-	-	(293)
31.12.2019	5,037	10,880	3,184	463	662	894	21,120
შეძენა	-	-	4	2	-	790	796
გადაფასების ეფექტი	-	5,585	-	-	-	-	5,585
31.12.2020	5,037	16,465	3,188	465	662	1,684	27,501
ცვეთა							
01.01.2019	-	231	1,748	433	475	-	2,887
პერიოდის ცვეთა	-	246	177	8	59	-	490
31.12.2019	-	477	1,925	441	534	-	3,377
პერიოდის ცვეთა	-	248	172	8	58	-	486
გადაფასების ეფექტი	-	(691)	-	-	-	-	(691)
31.12.2020	-	34	2,097	449	592	-	3,172
ნეტო საბალანსო ღირებულება							
01.01.2019	5,037	10,587	1,433	18	155	321	17,551
31.12.2019	5,037	10,403	1,259	22	128	894	17,743
31.12.2020	5,037	16,431	1,091	16	70	1,684	24,329

5,037 მიწის ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, ვალდებულებები და შეზღუდვები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19.4.

4. საინვესტიციო ქონება

	მიწა
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გადაფასებული ღირებულება	2,604
გადაფასების ეფექტი	13
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასებული ღირებულება	2,617
გადაფასების ეფექტი	367
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასებული ღირებულება	2,984

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ ბაზარზე მოპოვებული მტკიცებულებებზე დაყრდნობით, შესაძარისი გაყიდვების მეთოდის საფუძველზე. შესაძარისი ქონების გასაყიდი ფასები შესაბამისად ჩასწორებულია შეფასებულ ქონების ძირითად მახასიათებლებთან განსხვავებების გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი შეფასების მიდგომაში არის ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე. გადაფასების ნამეტი ემატება სხვა მოგებას/ზარალს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს, მდებარე ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა #40ა -ში, დაზუსტებული ფართობი 3781.00 კვ.მ. 2019 წლის 1 ოქტომბერს კომპანიამ თავის დაკავშირებულ კომპანიასთან გააფორმა აღნაგობის ძირითადი ხელშეკრულება და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულება.

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „სისტემ ნეტ“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი აღნაგობის უფლებით, 30 თვის ვადით, დაიტვირთა დაკავშირებული კომპანიის სასარგებლოდ, სანაცვლოდ დაკავშირებულმა კომპანიამ იკისრა ვალდებულება აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე უზრუნველყო შენობა-ნაგებობის აშენება და აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული ყველა ფუნქციური დანიშნულების (ავტოსადგომების ფართების გარეშე) ინდივიდუალიზებული ფართების 25%-ის შპს „სისტემ ნეტ“-სთვის საკუთრებაში გადაცემა.

ხელშეკრულების მიხედვით, დაკავშირებულმა კომპანიამ იკისრა ვალდებულება 2020 წლის 1 ოქტომბრამდე მოემზადებინა აღნაგობის უფლების საფუძველზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობის პროექტი და მიეღო მშენებლობის ნებართვა, ნებართვის მიღებიდან 5 თვის ვადაში უზრუნველყო შენობა-ნაგებობის ნულოვანი სართულის აშენება, შენობა-ნაგებობის ყველა სართულის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აშენება და შენობა-ნაგებობის გადახურვის სამუშაოები დაესრულებინა მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 15 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობამდე მიყვანილი ფართები შპს „სისტემ ნეტ“-სათვის საკუთრებაში გადაეცა მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 18 თვის ვადაში. ამასთანავე, დაკავშირებულ კომპანიას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მისაღებად დოკუმენტაციის წარდგენა მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში უნდა უზრუნველყო მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 27 თვის ვადაში და ექსპლუატაციაში მიღების პროცესი დაესრულებინა მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 30 თვის ვადაში.

ხელშეკრულების თანახმად, დაკავშირებული კომპანიის მიერ აღნაგობის ძირითადი ხელშეკრულებით და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შპს „სისტემ ნეტ“-ს გააჩნდა უფლებამოსილება ვადაზე ადრე მოემალა ხელშეკრულება და გაეუქმებინა აღნაგობის უფლება.

დაკავშირებულმა კომპანიამ დაარღვია მის მიერ აღნაგობის ძირითადი ხელშეკრულებით და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში მშენებლობის ნებართვის მიღება, მშენებლობის განხორციელება, რის გამოც, ისე როგორც ასახულია ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარ მოვლენებში - შენიშვნა 20, 2021 წლის 17 დეკემბერს შპს „სისტემ ნეტ“-ს და დაკავშირებულ კომპანიას შორის დაიდო შეთანხმება 2019 წლის ოქტომბრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ნივთზე აღნაგობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია.

5. წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოტონიკი (50 % წილი) (ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო)	170	170	170
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია(49 % წილი) (მეკავშირე საწარმო)	137	137	137
საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერია(34.36% წილი) (მეკავშირე საწარმო)	8	8	8
შპს საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერიას გაუფასურება	(8)	(8)	(8)
შპს პელიკომი (30% წილი) (მეკავშირე საწარმო)	44	44	44
შპს პელიკომის გაუფასურება	(44)	(44)	(44)
შპს ახალი ქსელები(10 % წილი) (ინვესტიცია ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციას მის ფასს მე-11 თავის მიხედვით)	6	6	6
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები	313	313	313

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონიკი“ დაფუძნდა 1996 წლის 05 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892330. კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული თანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით. კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ-ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან. კომპანია ფლობს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოტონიკის“ კაპიტალის

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წილის 50 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 50 პროცენტზე კონტროლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს 45% და 2009 წლის 15 ივნისს 5%.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ დაფუძნდა 1995 წლის 10 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ. რუსთავი და მის მიმდებარედ არსებული სოფლები; ქ. გარდაბანი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს. კომპანია ფლობს შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ კაპიტალის წილის 49 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 49 პროცენტზე კონტროლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს.

შპს „ახალი ქსელები“ დაფუძნდა 1996 წლის 2 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732. შპს "ახალი ქსელები" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონები მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს. კომპანია ფლობს შპს „ახალი ქსელების“ კაპიტალის წილის 10 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 10 პროცენტზე კონტროლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს.

შპს „პელიკომი“ დაფუძნდა 1996 წლის 30 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204881716 და შპს „საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერია“ დაფუძნდა 1998 წლის 04 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 203858664, ორივე კომპანია მოღვაწეობს კავშირგაბმულობის სფეროში. კომპანია ფლობს შპს „პელიკომის“ კაპიტალის წილის 30 პროცენტს, ხოლო შპს „საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერიის“ კაპიტალის წილის 34,36 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილების 34,36 და 30 პროცენტებზე კონტროლი მოიპოვა: 2008 წლის 19 ნოემბერს.

6. გაცემული სესხები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
გრძელვადიანი სესხები	667	927	1,046
გაცემული სესხის გაუფასურება(გრძელვადიანი)	(667)	(366)	(366)
მისაღები პროცენტები	301	82	103
მოკლევადიანი სესხების ნაწილი	245	115	1,864
გაცემული სესხის გაუფასურება(მოკლევადიანი)	(546)	-	-
სულ გაცემული სესხები	-	758	2,647

გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მისაღები დივიდენდები	500	500	500
კომპანიის ბლოკირებული საბანკო ანგარიში	1,560	1,366	1,275
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,060	1,866	1,775

კომპანიის ბლოკირებულ საბანკო ანგარიშზე განთავსებულია 476 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული ანგარიში ბლოკირებულია ძირითად საშუალების ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მოპოვებული საბანკო გარანტიების ფარგლებში. საბანკო გარანტია გაცემულია 1,179 მილიონ ლარზე და მისი მოქმედების ვადა 2024 წლის 1 მაისამდე. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში, კომპანიის დაკავშირებული კომპანია, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, ასევე ჩამდგარია თავდებობაში, თავდებობის ლიმიტია 250 ათასი ლარი. ამ ურთიერთობების დამატებითი დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19.4.

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საწვავი	16	16	10
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	3	-
სულ მარაგები	16	19	10

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან	16,111	17,203	13,724
საექვო ვალების რეზერვი	(15,761)	(15,683)	(12,815)
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	14	50	24
საექვო ვალების რეზერვი (ავანსები)	(10)	(45)	(44)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	354	1,525	889

	2020	2019
გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი სავაჭრო დებიტორებზე	15,683	12,815
წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება	78	2,868
31 დეკემბრის მიხედვით	15,761	15,683

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ნაღდი ფული სალაროში	-	-	2
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22	2	65
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	57	1	301
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79	3	368

11. მიღებული სესხები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მოკლევადიანი სესხები	61	52	50
გადასახდელი პროცენტი	25	14	6
სულ მიღებული სესხები	86	66	56

სესხი ნომინირებულია დოლარში. სესხის პროცენტი განისაზღვრება ყოველწლიური სესხის ძირი თანხის 12 პროცენტით. სესხი არის ვადაგადაცილებული.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13,561	13,647	11,286
მიღებული ავანსები	5	14	1
გადასახდელი ხელფასები	72	77	111
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	9	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,647	13,747	11,398

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	3,084	3,418
შემოსავალი ინტერნეტის არხის იჯარიდან	922	1,167
შემოსავალი სატელეფონო მომსახურებიდან	146	168
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	126	130
სხვა შემოსავალი	58	38
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4,336	4,921

შპს „სისტემ ნეტ“ ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
ინტერნეტ არხით მომსახურების ხარჯები	3,318	3,948
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	699	873
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	479	482
რეგულირების გადასახადი	33	37
სხვა თვითღირებულების ხარჯები	470	479
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4,999	5,819

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი	467	533
საგადასახადო ხარჯები	149	97
საწვავის ხარჯები	79	98
საექვო ვალების ხარჯი	78	2,868
საკონსულტაციო ხარჯი	34	28
ცვეთა და ამორტიზაცია	8	8
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	19	18
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	834	3,650

16. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	-	156
საპროცენტო ხარჯები	(9)	(8)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან (ნეტო)	173	121
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	164	269

17. სხვა მოგება (ნეტო)

	31.12.2020	31.12.2019
იჯარიდან მიღებული შემოსავლები(ნეტო)	635	618
გაცემული სესხის გაუფასურება	(758)	-
საინვესტიციო ქონების გადაფასება	367	13
სუბსიდია	41	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები(ნეტო)	27	48
სულ სხვა მოგება (ნეტო)	312	679

18. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79	3	368
სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან (ნეტო)	350	1,520	909
სხვა გრძელვადიანი აქტივები (უზრუნველყოფაში ჩადებული საბანკო ანგარიში)	1,560	1,366	1,275
გაცემული სესხები	-	758	2,647
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	1,989	3,647	5,199
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	86	66	56
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13,561	13,647	11,286
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	13,647	13,713	11,342

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

19.1 სამართლებრივი პროცედურები. კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია და მომავალშიც შესაძლოა აღიძრას ცალკული სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებება კომპანიას ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

19.2 საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა განსხვავებულ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა კომპანიას დამატებით დაერიცხოს გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ პროცესებიდან გამომდინარე და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

19.3 დაკავშირებული პირების სესხების ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის და მისი შვილობილი კომპანიის მიერ აღებული სესხების. კომპანია ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, კომპანია და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 7 მილიონი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
საბანკო სესხები	3,350	3,891	968
სულ ნასესხები საშუალებები	3,350	3,891	968

კომპანია არ მოელის, ამ თავდებობის ფარგლებში, მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასაღებას, რის გამოც არ არის რამე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

19.4 - ძირითად საშუალებებში ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, შეზღუდვები და ნაკისრი ვალდებულებები - 5,037 თანხის - მიწა, რომელიც ასახული ძირითად საშუალებებში, შესყიდულია შემდეგი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე: 2016 წლის 21 დეკემბერს კომპანიამ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან, ელექტრონული აუქციონის ჩატარების გზით, შეისყიდა ქონება (17,313 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1-#10 შენობა-ნაგებობები, რომლებიც დანგრეულ იქნა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. ხელშეკრულების 4.1.1. და 4.1.2. მუხლებში იყო გადმოცემული ძირითადი ვალდებულებები:

- 4.1.1 პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 36(ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში „ქონებაზე“ ან მის ნაწილზე სასტუმროს (არანაკლებ 120(ას ოცი) ნომრის მქონე) შექმნა (მათ შორის: ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა, ფუნქციონირების დაწყება, სასტუმროს ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) „ქონების“ ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, ეზოს გამწვანებასა და გარე განათებას).
- 4.1.2 პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.

ასევე, კომპანიას მოეთხოვა და წარადგინა საბანკო გარანტიები 1,179 მილიონ ლარზე. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში, კომპანიის დაკავშირებული კომპანია, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, ასევე, ჩამდგარია თავდებობაში, თავდებობის ლიმიტია 250 ათასი ლარი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას და ამავე ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას. საბანკო გარანტიების მოქმედების თავდაპირველი ვადა იყო 2020 წლის მაისამდე. ხელშეკრულებით პირგასამტეხლო განისაზღვრება ნაკისრი ინვესტიციის განხორციელებული ოდენობის 0,1 % და 500 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. კომპანიამ ვერ შეძლო 10 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება და სასტუმროს აშენება (10 მილიონიდან, მხოლოდ 1 მილიონ 90 ათასი შესრულდა) დადგენილ ვადებში, რომელიც 2019 წლის 24 დეკემბერს დასრულდა. 2020 წლის მარტში, ქონების ეროვნული სააგენტო, გარკვეული დამატებითი პირობების გათვალისწინებით, დაეთანხმა კომპანიისათვის მიეცა დამატებითი ვადა 2023 წლის 21 დეკემბრამდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

დამატებითი პირობებით განისაზღვრა ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაზრდა 2024 წლის 1 მაისამდე, რაც განხორციელდა 2020 წლის 30 მარტს. ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2020 წლის მარტის წერილში დააფიქსირა, რომ კომპანიას არ შეუჩერდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს დარიცხვა. 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელშეკრულების პირობების მიხედვით გაანგარიშებული პირგასამტეხლო შეადგენს 66 და 3,435 ლარს შესაბამისად. 2021 წლის 9 ივნისს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის დროს საპრივატიზაციო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან გართულებულობის შემთხვევაში, ქონების მმართველისთვის დასაბუთებული თხოვნით მიმართვის საფუძველზე, ქონების მმართველის წარდგინებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დასაშვებია გახდა სახელშეკრულებო მხარის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების დადგენა ან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

კომპანიის მენეჯმენტის მოსაზრებით მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს, 2016 წლის 21 დეკემბერს, წარმოუდგენელი იყო, რომ მსოფლიო და მათ შორის საქართველო, დღეს არსებული გამოწვევების წინაშე დადგებოდა, COVID-19-ის პანდემიამ არსებითად შეცვალა გარიგების დადების მომენტში არსებული გარემოებები. შეუძლებელი გახდა ინვესტიციების მოზიდვა, როგორც საბანკო, ისე კერძო ინვესტიციების მხრიდან მსგავსი პროექტების დაფინანსება ამ ეტაპზე არ ხორციელდებოდა. ასევე, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გამოვლინდა არაერთი ხელშემშლელი გარემოება, რაც საპრივატიზაციო ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების ვადის განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული. 2020 წლის 21 მარტიდან საქართველოს მთავრობის მერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე. შემოღებულ იქნა არაერთი შეზღუდვა, რაც საკანონმდებლო ორგანოს მიერ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელების მიზეზიც კი გახდა, მათ შორის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში 09.06.2021 წელს შეტანილი ცვლილებების. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მხარეებს შორის 2016 წლის 21 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილ პირობებში უნდა განხორციელდეს ცვლილებები: კერძოდ, ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით გასაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვროს 2025 წლის 31 დეკემბერი. კომპანია უნდა განთავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით. ასევე, უნდა გაუქმდეს საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა. ისე როგორც ასახულია ბალანსის შემდეგ მომხდარ მოვლენების ამსახველ ახსნა განმარტებით შენიშვნაში, ამ პოზიციის დაფიქსირების მიზნით, კომპანიამ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი წერილით 01.07.2021 წელს. 2021 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოცა განკარგულება და დააკმაყოფილა კომპანიის თხოვნა. განკარგულებით განისაზღვრა შემდეგი:

- **„განკარგულების მე-2 მუხლი“** - ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „სისტემ ნეტმა“ (ს/ნ 205267423), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაჯალ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სისტემ ნეტს“ შორის 2016 წლის 21 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისა და ამ ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად, წარადგინოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის, არანაკლებ 30/04/2026 წლის ჩათვლით მოქმედი, ახალი/შეცვლილი საბანკო გარანტია.
- **„განკარგულების მე-3 მუხლი“** - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49 პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და 49 მესამე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „სისტემ ნეტს“ (ს/ნ 205267423) გათავისუფლდეს, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაჯალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სისტემ ნეტს“ შორის 2016 წლის 21 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.“

ზემოთ მოცემული პირობების და იმის გამო რომ სააგენტოს არ წარუდგენია კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვის მოთხოვნა. კომპანიას მენეჯმენტი თვლის რომ, არ ეკუთვნის 2019 და 2020 წლების პერიოდებზე პირგასამტეხლოს დარიცხვა, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში, საპირგასამტეხლოს შესაბამისი ანარიცხი არ არის აღიარებული.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები	მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	212	15,480
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	(212)	(15,145)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	9	13,443
მიღებული სესხი	-	86	-
გაცემული სესხი	-	-	846
გაცემული სესხის გაუფასურება	-	-	(846)
გადასახდელი დივიდენდები	55	59	-
მისაღები დივიდენდები	-	-	500
შესყიდვები	-	-	3,437
რეალიზაცია	-	-	4,519
საპროცენტო ხარჯები	-	9	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) და სამეთვალყურეო საბჭო	128	150	22

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები	მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	212	16,644
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	(212)	(15,145)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	9	13,568
მიღებული სესხი	-	66	-
გაცემული სესხი	-	-	758
გადასახდელი დივიდენდები	55	59	-
მისაღები დივიდენდები	-	-	500
შესყიდვები	-	9	4,052
რეალიზაცია	-	-	5,170
გაცემული სესხის დაფარვა	-	-	1,861
საპროცენტო შემოსავალი	-	-	156
საპროცენტო ხარჯები	-	8	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) და სამეთვალყურეო საბჭო	113	277	22

2019 წლის 1 იანვრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები	მაკონტროლებელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	212	12,927
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	(212)	(12,284)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	11,157
მიღებული სესხი	-	56	-
გაცემული სესხი	-	-	2,463
გადასახდელი დივიდენდები	55	59	-
მისაღები დივიდენდები	-	-	500

გარდა ზემოთ აღნიშნულისა საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით დაკავშირებულ მხარესთან არსებული ურთიერთობა მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 4.

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მიწის შესყიდვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან - ძირითად საშუალებებში ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, შეზღუდვები და ნაკისრი ვალდებულებების განახლებასთან დაკავშირებული 2021 წელს მომხდარი მოვლენები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19.4.

2021 წლის 4 იანვარს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გათავისუფლდა კომპანიის ერთ-ერთი მაკონტროლებელი პირი და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა პირი.

2021 წლის 28 იანვარს კომპანიის ერთ-ერთი მაკონტროლებელი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული კომპანიის წილი, 15.318 პროცენტი, მართვის უფლებით გადაეცა სხვა მაკონტროლებელ ფიზიკურ პირს.

2021 წლის 9 ივლისს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გათავისუფლდა კომპანიის ერთ-ერთი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა პირი.

2021 წლის 16 აგვისტოს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გათავისუფლდა კომპანიის ერთ-ერთი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მის ნაცვლად დაინიშნა სხვა დამფუძნებელი პირი.

2021 წლის 15 დეკემბერს, კომპანია თავდებად დაუდგა ერთ-ერთ დაკავშირებულ კომპანიას (შპს ახალ ქსელებს) და მასთან ერთად იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა 1,300 მილიონი ლარის სესხზე.

2021 წლის 23 დეკემბერს, სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო დადგენილება საინვესტიციო ქონებაში ასახული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „სისტემ ნეტი“-ს

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამუშენებლები

შპს „სისტემ ნეტ“ წარმოადგენს ინტერნეტის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოში.

შპს „სისტემ ნეტ“ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2008 წლის 11 ნოემბერს, ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ (სს კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისიდან“ გამოყოფის შედეგად).

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორები არიან ფიზიკური პირები: 01017003792, კოტე სამუშია 1.699%, 563578047 გიორგი იაშვილი 2.028%, 01007000232 ილია ინჯია 24.709%, 01007005738, ხათუნა ინჯია 5,714%, 01007000616, ფრიდონ ინჯია, 15,318%, 01007002598, ლალი რუხაია, 4,149%, 62001023917, ნოდარ გაბედავა 1.038%, 01013008190, ნაირა კვესელავა 7.781% , 01017035001, თამარი ჩხაიძე 0.016% 01035000176, ქეთევან ასიტაშვილი 0.064% 01001046602, დავითი დურგლიშვილი 0.648% 01026001596, თეიმურაზ ბერიშვილი 4.183% 01017003643, ლილი სუხიტაშვილი 2.091% 01017008377, სერგო ჩიკვილაძე 0.042% 01017000485, ჯამბული გეგეჭკორი 1.171% 01002004622, ავთანდილ იაშვილი 29.349%.

შპს „სისტემ ნეტ“-ის საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „სისტემ ნეტ“-ს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც .

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

კომპანია ახორციელებს აბონენტთა მომსახურებას ინტერნეტის გამოყოფილი არხების საშუალებით, გააჩნია საკუთარი დატაცენტრი. დატაცენტრი გამოიყენება როგორც საკუთრივ შპს „სისტემ ნეტ“-ის აპარატურის განსათავსებლად, ასევე კოლოკაციის სერვისებისთვის. კომპანია ახორციელებს ვებჰოსტინგის სერვისს. შპს „სისტემ ნეტ“-ის მომხმარებლები ძირითადად არიან მსხვილი კომპანიები და ინტერნეტპროვაიდერები. ასევე კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს საერთაშორისო ხმოვანი სატელეფონო ტრაფიკის გატარებას საქართველოსა და უცხოურ ქვეყნებს შორის. ამ მიზნებისათვის კომპანია იყენებს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლის ცისკოს საკომუტაციო მოწყობილობებს. საზღვარეთის პარტნიორ კომპანიებთან დასაკავშირებლად იყენებს როგორც პირდაპირ ასევე ინტერნეტის არხებს, ხოლო საქართველოს ფარგლებში იყენებს პირდაპირი ურთიერთობის არხებს საქართველოს ყველა მსხვილ პროვაიდერთან. შპს „სისტემ ნეტის“ საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა თავის კუთვნილ შენობაში საოფისე ფართების და სათავსოების იჯარით გაცემა.

შპს „სისტემ ნეტ“-ს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი მომსახურება;
- კომპანიის მაქსიმალურად ეფექტური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- კომპანიის სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- კომპანიის პარტნიორების ინტერესების დაცვა

3. ფინანსური რისკები

2020 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს შპს „სისტემ ნეტ“ აფასებს, როგორც ზომიერად რთულს, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებთან, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა დარგზე:

ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;

ასევე ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს კომპანიის განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები;

**შპს „სისტემ ნეტ“ მმართველობითი ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატულობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;

ინფლაციის მაღალი ტემპი.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შპს „სისტემ ნეტმა“ მიიღო შემდეგი ზომები:

- სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს შპს „სისტემ ნეტს“ შეინარჩუნოს არსებული ფინანსური მდგომარეობა და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

კომპანიის 2019-2020 წლების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020 წლისათვის	2019 წლისათვის
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	3,084	3,418
შემოსავალი ინტერნეტის არხის იჯარიდან	922	1,167
შემოსავალი სატელეფონო მომსახურებიდან	146	168
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	126	130
სხვა შემოსავალი	58	38
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4,336	4,921

კომპანიის შემოსავლები 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 9.77% შემცირდა. შემცირება ძირითადად განპირობებულია გლობალურ ინტერნეტზე ფასების ვარდნით, რომელიც მსოფლიოში არსებული ტენდენციაა. თუმცა კომპანიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საოპერაციო ხარჯების შემცირების კუთხით, მიუხედავად ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობისა და მსოფლიოში არსებული სიტუაციისა კოვიდ-19 ვირუსთან დაკავშირებით, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 2020 წლის ბოლოზე.

კომპანიის მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების გამსახურის ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხებდევლო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას.

კომპანიის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- კომპანიის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ქსელის დაზიანებების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;

კომპანია ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, დაზიანებების შემცირება, ქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება

კომპანიის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული ზარალი ძირითადად გამოწვეულია დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯის დიდი ოდენობით, რაც შეეხება ზარალს საოპერაციო საქმიანობიდან, კომპანიის მენეჯმენტმა გაატარა შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ზარალის დასაძლევად, როგორცაა ინტერნეტის შესყიდვის ხარჯის შემცირების მიზნით მომწოდებელთან მოლაპარაკება. კომპანიის პარტნიორებმა შეიმუშავეს სტრატეგია დებიტორული დავალიანების შემცირებისათვის, ნაწილობრივად გაუქმდა სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის შემდგომი ოპერირების შედეგები შეიძლება შეფასდეს ზომიერად ოპტიმისტურად.

2020 წელს შპს „სისტემ ნეტ“-ის ოპერირებისას არ მომხდარა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ინციდენტი ან მომსახურების შეფერხება.

შპს „სისტემ ნეტ“-ის შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ კომპანიის მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია კომპანიის, მისი ცალკეული სამსახურების, კომპანიის მართვის ორგანოების თანამდებობის პირების და კომპანიის აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, კომპანიის წესდებებსა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე. შიდა კონტროლის სფეროში შპს „სისტემ ნეტ“-ი ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

მიდგომა 1. კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიდგომა 2. კომპანიის ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე.

მიდგომა 3. შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით.

მიდგომა 4. შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა აქციების შეძენა.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2020 წლის განმავლობაში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

6. კომპანიის თანამშრომლები

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში კომპანიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

შპს „სისტემ ნეტ“-ის საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;

კომპანიაში დასაქმებულია 77 თანამშრომელი. აღსანიშნავია რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს გაითვალისწინოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები გენდერული ბალანსის დაცვაზე, სწორედ ამიტომ შპს „სისტემ ნეტ“-ში დასაქმებული ქალები იკავებენ არა მარტო ტრადიციულ პოზიციებს (ფინანსური, ოფის მენეჯერი, თანამშრომელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი) არამედ წამყვან ხელმძღვანელ პოზიციებსაც.

შპს „სისტემ ნეტ“-ის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია კომპანიის მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე კომპანიისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად.

7. გარემოზე ზეგავლენა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „სისტემ ნეტ“-ი არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მიზეზით, 2020 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და, შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერი.

ბნ. ილია ინჯია დირექტორი

შპს „სისტემ ნეტ“ მმართველობითი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2021 წლის 31 დეკემბერი.

ბნ. ილია ინჯია დირექტორი



About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge